# ახალი სამკერდე ნიშანი!

რედაქციისგან: დღემდე საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის სახელწოდება შემოკლებით შეცდომით იწერებოდა ასე: მშთ. ეს მომდინარეობდა თვით კომპლექსის სრული სახელწოდების უსწორო თარგმანიდან — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისთვის" (სინამდვილეში უნდა ყოფილიყო არა თავდაცვისთვის, არამედ დაცვისთვის). რედაქცია ასწორებს შეცდომას და სთხოვს ყველას, ვისაც ამ საერთო საქმესთან კავშირი აქვს, ამიერიდან კომპლექსის სახელწოდება შემოკლებით დაწეროს სწორად — მშდ.




**დიდი გზის ნიშანსვეტები ● კონკურსის მონაწილენი — მუშა და სოფლის მასწავლებელი, კოლმეურნე და მეცნიერი ● ხუთქიმიანი ვარსკვლავი მშდ-ს ნიშანზე!**

თავისი მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" რამდენიმეჯერ შეიცვალა. ინერგებოდა ერთი ნორმები, ქრებოდა მეორე. ასაკობრივი ფარგლები ფართოვდებოდა. იცვლებოდა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის ფორმაც. სხვადასხვა წლის სამკერდე ნიშნები მშდ-ს მიერ გავლილი დიდი გზის ნიშანსვეტებად იქცა.

შარშან გაზაფხულზე ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მოაწყო ღია კონკურსი მშდ-ს სამკერდე ნიშნის საუკეთესო ესკიზისთვის.

საკონკურსოდ თავიანთი ვარიანტები წარმოადგინეს ქალაქისა და სოფლის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებმა, გასული წლების მშდ-ს ვეტერანმა-ნიშნოსნებმა. თავიანთ წინადადებებს გზავნიდნენ მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა შეაჯამა კონკურსის შედეგები, დაასახელა გამარჯვებულები, პრემიები მიაკუთვნა მათ.

**წარმოებაში მიღებული საუკეთესო ესკიზის ავტორია სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალმაათელი ე. კოლოკოლნიკოვი.** მას სამკერდე ნიშნის საბოლოო დამუშავებაში მოსკოველი მხატვარი ვ. ნიკიტინი ეხმარებოდა.

მეორე პრემიით აღნიშნულია მხატვარ ა. შუმილინის (მოსკოვი) ნამუშევარი.

**სსრ კავშირის სპორტკომიტეტი მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო მშდ ახალი კომპლექსის სამკერდე ნიშნის საუკეთესო ესკიზისთვის გამოცხადებულ კონკურსში.**

დღეს გიჩვენებთ მშდ-ს ახალ სამკერდე ნიშანს. ესაა ხუთქიმიანი, ზომით 2 მმ დიამეტრის ვარსკვლავი, რომელსაც ორი განტოტილი თავთავით დამშვენებული კბილანა აქვს დაკრული. ვარსკვლავი თეთრი (ვერცხლის სამკერდე ნიშნისთვის) ან ყვითელი (ოქროს ნიშნისთვის) ლითონისგან კეთდება. სამკერდე ნიშნის ცენტრის ფერი იცვლება საფეხურის შესაბამისად: მწვანე — I საფეხურისთვის, ცისფერი — II, ლურჯი — III, თეთრი — IV, წითელი — V საფეხურისთვის. ყოველი საფეხური სამკერდე ნიშანზე რომაული ციფრითაა აღნიშნული. წარჩინებით ოქროს სამკერდე ნიშანს აქვს მინანქრის წითელი ლენტი წარწერით „წარჩინებული".

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 2 (4562) 15 მარტი, ოთხშაბათი. 1972 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს დედაქალაქისა და ლიუბლიანის (იუგოსლავია) ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების განმეორებითი საერთაშორისო შეხვედრა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 23:23 (10:12).

**ხელბურთი**

## ვ ბ ო ლ ი

საკავშირო თასის გათამაშების მატჩებში საუკეთესო თამაშით, მაღალი შედეგიანობით გამოიჩინა თავი თბილისის „დინამოს" ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. ნოდიამ. ამ ფეხბურთელმა ორ შეხვედრაში ზედიზედ ორჯერ შეასრულა „ჰეტ-ტრიკი", ესე იგი 3-3 გოლი გაიტანა.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა მ. ზარგარიანმა და ა. კოტორაშვილმა ყარაგანდის „შახტიორთან" შეხვედრაში გადაიღეს სტუმართა კარში გ. ნოდიას მიერ გატანილი სამივე გოლი. ამ სურათებზე თქვენ ამ მომენტებს ხედავთ.



# ა. მეტრეველი — არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ჩემპიონი

კაირო, 12 მარტი. აქ დამთავრდა არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. დიდ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირისა და ევროპის პირველმა ჩოგანმა, თბილისელმა მეტრეველმა, რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ამ ქვეყნის ჩემპიონის წოდება. ფინალში მან დამაჯერებლად სძლია ჩეხოსლოვაკიელ პალას (6:3, 6:2, 6:3). ეს იყო თბილისელი სპორტსმენის რევანში ადგილობრივი „გეზირის" კორტებზე ერთვნებათა თასის გათამაშებაში ამასწინანდელი მარცხისთვის.

წარმატებით იასპარეზა მეტრეველმა შერეულ წყვილთა თანრიგშიც. აქ მისი პარტნიორი ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი შანფრო იყო. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა ფინალში სძლია იტალიელებს ჯორჯისა და ბარტონის — 6:2, 6:4.

ქალთა შორის ყველას აჯობა შანფრომ.

## სსრ კავშირის თასზე

**ფეხბურთი**

### ცსკა — „დინამო" (კიევი) 1:0



სოჭი, 13 მარტი. ადგილობრივ სტადიონზე დღეს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — ცსკა და „დინამო". გაიმარჯვეს არმიელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 87-ე წუთზე გაიტანა ჟიგუნოვმა.

## „დიდი კრისტალი" — მოსკოვის დინამოელებს

ლა-ლუვიერი (ბელგია), 13 მარტი. ფრენბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კიდევ ერთი წლით დაიდებს ბინას მოსკოვის დინამოელებთან. აქ გამართული „ოთხთა ტურნირის" ბოლო მატჩში მოსკოველებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს პრაღის „ტატრანს", რომელიც II ადგილზე დარჩა.

მოსკოვის „ლოკომოტივი" III ადგილზე გავიდა. თავის ბოლო შეხვედრაში მან ლოძის „სტარტს" აჯობა — 3:2.

კონტინენტის ოთხი უძლიერესი გუნდის ფინალურმა ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

## უმაღლეს ლიგაში

ლენინგრადი, 13 მარტი. ადგილობრივი „სპარტაკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდმა I ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფის კოლექტივთა საკავშირო შეჯიბრებაში და უმაღლესი ლიგის საგზური გაინაღდა.

## ცურვაში

ჩელიაბინსკი, 12 მარტი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში. როგორც ცნობილია, ასპარეზობის პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა 5 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მათ არც შემდგომში შეუნელებიათ უმაღლეს მიღწევებზე იერიში და კიდევ რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესეს.

კრასნოიარსკელმა ვლადიმერ კუცმა 400 მ აკვალანგით 3 წუთსა და 24,9 წამში გაცურა. მოსკოველმა ტ. ნიკიფოროვამ 800 მ ფარფლებით 8 წუთსა და 33 წამში დაფარა, ხოლო 400 მ — 4 წუთსა და 6,8 წამში.

მოსკოველმა ვიტალი ბარდაშევიჩმა ორი რეკორდი დაამყარა: 100 მეტრზე აკვალანგით ცურვაში (39,4 წამი) და ესტაფეტაში თავის „ასიანზე" — 40,0. ლენინგრადელმა თ. სამოტამ 200 მეტრზე ფარფლებით ცურვაში 1.52,1 აჩვენა, ხოლო მოსკოველმა ჰ. კრიუკოვმა 800 მეტრზე — 7.36,2.

მსოფლიო რეკორდით აღინიშნა, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების ვაჟთა გუნდის გამოსვლა 4×100 მეტრზე ფარფლებით ესტაფეტაში — 2.44,9.

თასი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის ნაკრებმა მოიპოვა.





სსრკ 50

# ჩვენი ძალა ახალგაზრდობაში

## საკდესი მოგვითხრობს



ნოვგოროდი. ნიჩბოსნებმა თბილი, უქარო ამინდით ისარგებლეს და უკვე დაიწყეს რეგულარული ვარჯიში მდინარე ვოლხოვზე.

ა. ოვჩინიკოვის ფოტო.



მთამსვლელობა ძალიან პოპულარულია ალტაის სპორტსმენთა შორის. ამას წინათ 48 კაცმა მოაწყო ასვლები ტიან-შანის მწვერვალებზე. ახლა ალტაელი მთამსვლელები პამირზე ასასვლელად ემზადებიან.

ს უ რ ა თ ზ ე: ჯგუფი ლაშქრობის დროს.

ე. ლოგვინოვის ფოტო.



ტალინის ზამთრის ცურვის მოყვარულთა კლუბი 80 კაცზე მეტს აერთიანებს. კლუბის წევრები ზრუნავენ თავიანთ რესპუბლიკაში ზამთრის ცურვის პოპულარობისთვის. ახლახან კლუბმა პირველი საჩვენებელი შეჯიბრება გამართა, რომელშიც ლენინგრადელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ. მდინარე პირიტაზე მოწყობილ 25-მეტრიან „აუზში" ოთხი ასაკობრივი ჯგუფის „ლომვეშაპები" ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მონაწილეები ტ. ვიირმაა და ტ. ვატსელი.

პ. კუზნეცოვის ფოტო.

### „მალიუტკის" მწვანე გზა

დოლინის მექანიკური ქარხნის მღარავმა ი. ტრუხანმა პატარა ავტომანქანა გააკეთა, რომელსაც სახელად „მალიუტკა" დაარქვა. მიუხედავად მინიატურული ზომისა, ეს თვითნაკეთი მანქანა ოთხ მგზავრს იტევს და საათში 60-70 კმ სისწრაფეს ავითარებს.

იუჟნო-სახალინსკი.

### „უზბეკი ტურისტების უღელტეხილი"

ეს სახელი სამართლიანად შეიტანეს რუკაზე პირველდამპყრობთა უფლებით ტაშკენტელმა მოგზაურმა სპორტსმენებმა. მათ პირველებმა გადალახეს 5330 მეტრის სიმაღლეზე მდებარე უნაგირა აღმოსავლეთ პამირში 250-კილომეტრიანი ლაშქრობის დროს, რომელიც სპორტის ოსტატობის კანდიდატ ე. რასკაზოვის ხელმძღვანელობით მოეწყო. ლაშქრობა მაღალმთიან ტბა ყარაყულთან დაიწყო და მდინარე ბალანდკიიკის სათავეში დამთავრდა.

ტაშკენტი.

### ჩოგბურთის სასახლე

ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის" ცენტრალური სტადიონის პარკის ზონის ფიჭვნარში ორიგინალური ნაგებობა აღიმართა. ესაა ლამაზი შენობა დიდი ოვალური სახურავით და მინის კედლებით — ჩოგბურთის მოყვარულთა სასახლე.

ჩელიაბინსკი.

### ოლიმპიური ატესტაცია

სოფიაში ბულგარეთის ეროვნული ნაკრები გუნდის სახელზე „ტისას" მარკის სარბოლი თხილამურების დიდი პარტია გაიგზავნა. მუკაჩოვოს ფაბრიკის თხილამურებმა გამოცდა საპოროში ჩააბარა. ისინი ძალიან გამძლეა, ელასტიკური, წონით კი 600 გრამს არ აღემატება.

ფაბრიკის ნაწარმში კიდევ ერთი სიახლეა: ჰოკეის ყვანჯი „ექსტრა". მისი პირველი ნიმუშები ძალიან მოეწონათ ოსტატებს.

უმაღლესი ლიგის ჰოკეისტები წლეულს 3 ათას ახალ ყვანჯს მიიღებენ.

მუკაჩოვო.

### ირმები ტუნდრაში

კანევკაში, პონოეში, ლოვოზეროსა და იმიერპოლარეთის ტუნდრის სხვა სოფლებში ამ დღეებში მეირმეთა ტრადიციული დღესასწაულები ტარდება. პროგრამაშია ირმებით რბოლა 1600 და 8200 მეტრზე, მოთხილამურეთა ბუქსირება ირმებით.

მურმანსკი.

### პროფესიას დოსააფი იძლევა

2 მარტს ხარკოვის მოსკოვის რაიონის 100 ახალგაზრდა მცხოვრებმა მიიღო მოწმობა, რაც მათ მოტოციკლისა და ავტომანქანის მართვის უფლებას აძლევს. ჭაბუკებსა და გოგონებს ამ სპეციალობის დაუფლებაში დაეხმარა დოსაამის რაიკომი, რომელმაც მთელს ოლქში საუკეთესო სასწავლო-ტექნიკური პუნქტი მოაწყო. შოფრის, რადიოტელეგრაფისტის, ტელევიზორისა და რადიომიმღების შემკეთებლის პროფესიას ყოველწლიურად წარმოებისგან მოუწყვეტლად ეუფლება 5 ათასზე მეტი ხარკოველი.

ხარკოვი.

### ახალი ბაზები

კიშინიოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა მოლდავეთის დედაქალაქის სპორტული ბაზის განვითარების გეგმა ახალი ხუთწლედისთვის. დეპუტატებმა და სპორტულმა საზოგადოებრიობამ იზრუნეს, რომ კაპიტალური და მარტივი ნაგებობები განლაგებული ყოფილიყო ქალაქის ყველა საცხოვრებელ რაიონში, სამრეწველო ზონების ახლოს და მასობრივი დასვენების ადგილებში. დაგეგმილ დიდ ნაგებობათა შორისაა ქალაქში პირველი მანეჟი მძლეოსნური ბილიკით, თამაშების, ტანვარჯიშის, ჭიდაობის, კრივის დარბაზებით. ეს ბაზა ერთ-ერთ ახალ საცხოვრებელ რაიონში შენდება. „სკულიანკის" სამრეწველო ზონის მახლობლად აჩქარებული ტემპით შენდება კიდევ ერთი კომპლექსი, რომელშიც შედის სპორტული დარბაზი, ერთი დახურული და ხანი ღია საჩოგბურთო კორტი.

სპორტულ კომპლექსებს დარბაზებით, საცურაო აუზებით, საფეხბურთო მინდვრებით, მოედნებით აშენებენ „დინამო", „ლოკომოტივი" „შრომითი რეზერვები", ტექნიკუმები. ტრესტ „ინჟდორსტროის" მაგალითისამებრ, რომელმაც მოლდავეთის დედაქალაქში საუკეთესო ბაზა ააგო, თავიანთი სპორტული მშენებლობები დაგეგმეს სატრაქტორო ქარხანამ, კომბინატმა „ისკოჟმა", სამკერვალო ფაბრიკამ.

სპორტული ბაზების გაფართოება და საქალაქო აღმასკომის დაგეგმილი სასროლო ტირის მშენებლობა საშუალებას იძლევა კიშინიოვში უკეთ მოეწყოს ნშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, შეიქმნას საერთო ფიზიკური მომზადების მასობრივი სექციები.

კიშინიოვი.

# ზურგზე ბევრია, მონდომება — ცოტა

ხობის რაიონის ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ა. ჯოჯუა) შარშანდელი სეზონი წარმატებით დაამთავრა: ხობელები ახლა უკვე საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლთა შორის თამაშობენ. ფეხბურთელ ა. ჰედიას თანაგუნდელებმა ფოთის ოსტატთა გუნდში დაულოცეს გზა.

თავი გამოიჩინეს რაიონის მაგიდის ჩოგბურთელებმაც. შარშან ისინი რესპუბლიკის უძლიერეს გუნდებთან შეჯიბრებაში იცავდნენ რაიონის ღირსებას. „კოლმეურნის" ზონალურ სპარტაკიადაში გ. ყორშია მესამე პრიზიორი გახდა ქართულ ჭიდაობაში.

აღსანიშნავია ხობის რაიონის მოსწავლეთა წარმატებაც სოფლის სკოლების რესპუბლიკურ პირველობაში. ხამისკურის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ ლ. ფარცვანიამ სიგრძეზე ხტომაში ჩემპიონობა დაისაკუთრა, 60 მეტრზე რბენაში კი II ადგილი დაიკავა. იყოჩაღეს ჭალადიდელებმაც: ბირთვის კვრაში მ. მსხალაძე მეორე იყო, მ. ნაჭყებია კი მესამე.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების, აგრეთვე, საზოგადოებრივი კადრების მომზადების ვალდებულებები.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხი პარტიის რაიკომის ბიურომ ადგილებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად დასახა. მოწინავეთა შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა. წარმატება იმანაც განაპირობა, რომ კოლმეურნეებს შეფობას უწევს ადგილობრივი საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი ფიზაღზრდის მასწავლებელ ა. ზარანდიას ხელმძღვანელობით.

რაიონის ნაკრებისთვის კარგი კალათბურთელები მოამზადა ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. სოფელ პირველი ხორგის ახალგაზრდებს განსაკუთრებით ფეხბურთი მოსწონთ. გუნდმა რაიონში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია.

ქების ღირსნი არიან პროფტექნიკური სასწავლებლის, 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

იქ სადაც სპორტული ბაზებია, მუშაობაც ჩქეფს. რაიონში სანიმუშოა ხეთის სტადიონი, რომელიც სოფლის ახალგაზრდობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა ძალებით მოეწყო. ამავე სოფლის მეურნეობაში ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მშვენიერი მოედნები აქვთ.

ფიზკულტურისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების თაოსნობით თორსის საბჭოთა მეურნეობაში კარგი ფეხბურთის მინდორი მოეწყო.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ხელმძღვანელობა ზოგან ახალგაზრდობის ინტერესებს ჯერ კიდევ გულგრილად ეკიდება. სწორედ ბაზების უქონლობაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ხობის ჩაის ფაბრიკაში, კოლხმშენის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, ძველი ხიბულის ლენინის და ზიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. თუ იმასაც ვიტყვით, რომ რაიონის სპორტული მოედნებისა და დარბაზების ნახევარზე მეტი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ცხადია, საფუძველი გვაქვს მდგომარეობა ყურადსაღებად მივიჩნიოთ.

რაიონის მთავარ სტადიონზე ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩები სათანადო დონეზე ჩატარდეს.

ნოჯიხევის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. თუთბერიძე) მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად დღემდე არაფერი კეთდება. ნოჯიხეველი ახალგაზრდები იძულებული არიან რაიონულ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მეზობელ კოლექტივებს მიეკედლონ. მოჭიდავეები ა. თოდუა, რ. გვაზავა, ა. ხურციძე და გ. ყორშია, ვიდრე რაიონის ნაკრებ გუნდში მოხვდებოდნენ, სავარჯიშოდ ხობში დადიოდნენ.

დასასრულ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩამორჩენასაც უნდა შევეხოთ. რაიონში გამოუყენებელი რჩება კარგი ბუნებრივი პირობები. ერთობ მცირეა საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რიცხვი. ეს ნაკლი მეთოდისტთა ცოდნის დაბალი დონითა და გამოუცდელობითაცაა გამოწვეული. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ რაიონის შტატიანი ფიზკულტურული მუშაკებიდან ნახევარზე მეტს არა აქვს უმაღლესი ან სპეციალური საშუალო განათლება.

**თ. გაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ხობის რაიონი.

**✦ სოხუმი**

დოსაამის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში I და II ადგილები დაიკავეს სოხუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივებმა. პირად პირველობაში იმარჯვა ი. საფიძემ (მე-2 ავტოსატრანსპორტო კონტორა). II ადგილზეა გ. ნოდია, III — ა. ჩოხონი (ორივე — სოხუმის საზღვაო ნავსადგური).

**მ. პაპავა,**
სპორტის ოსტატი.
**ვ. ქობალია,**
პირველი კატეგორიის მსაჯი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ცხრა საბედისწერო წუთის ქრონიკა




## ფინიშამდე ერთი ნაბიჯიღაა

კიევი, 14 მარტი. გუშინ აქ გაიმართა ჩემპიონატის მეორე წრის ერთ-ერთი ბოლოსწინა მატჩი ადგილობრივ არმიელებსა და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის. ნევისპირელმა კალათბურთელებმა ბოლოს და ბოლოს შეაჩერეს არმიელთა წინსვლა და დაამარცხეს ისინი — 80:61 (34:22).

„სპარტაკმა" მეორე წრე 17 ქულით დაამთავრა. ამდენივე მოაგროვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ, მაგრამ პირველი სტრიქონი სატურნირო ცხრილში სწორედ მას უჭირავს, ვინაიდან „სპარტაკთან" შეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს

დაამთავრა მეორე წრე კიევის არმიელთა კოლექტივმაც. იგი საგრძნობლად გაემიჯნა აუტსაიდერებს და ახლა სატურნირო ცხრილში ერთ-ერთი შუა ადგილისთვის იბრძვის.

თბილისი. სპორტის სასახლე. 13 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 69:86 (46:38).

„დინამო": საკანდელიძე (გუნდს შესძინა 16 ქულა), ქორქია (14), უგრეხელიძე (14), მაღალაშვილი (10), ჩიხლაძე (8), სხიერელი (5), ფიცხელაური (2), ვასიუტინსკი, ქუთათელაძე.

ცსკა: ს. ბელოვი (26), ჟარმუხამედოვი (19), ანდრეევი (16), კოვალენკო (10), კოვირკინი (6), მილოსერდოვი (4), ედეშკო (2), კაპრანოვი (2), პეტრაკოვი (1), კულკოვი.

მსაჯები — გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ო. გორბატოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები — 87:64 (38:43).

მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ცსკა გამარჯვების შემთხვევაში ინარჩუნებდა ლიდერობას და ოქროს მედლებისთვის ბრძოლის საუკეთესო შანსს. „დინამოს" ეს ქულა გზას უხსნიდა III საპრიზო ადგილისკენ. შეხვედრის შედეგს, ამავე დროს, პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან ამ ორი პოპულარული კლუბის ყოველი დუელი პრესტიჟის მატჩად გვევლინება.

### მხოლოდ სტენოგრამა

პირველი ტაიმი თბილისელებმა სტუმრებზე გაცილებით უკეთ ჩაატარეს: ერთ მომენტში ისინი მთელი 10 ქულით დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 9-წუთიანი მონაკვეთი, რომელმაც, ჩვენი აზრით, გადაწყვიტა ბრძოლის ბედი, ცსკა-მ მოიგო ანგარიშით 22:6. მეორე ტაიმის დასკვნით ნაწილში ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა — „დინამო" შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას.

„დინამომ" მატჩის მსვლელობაში 8 მოთამაშე გამოიყენა, ცსკა-მ — 10. მასპინძლები 31-ჯერ დაჯარიმდნენ, სტუმრები — 27-ჯერ. დინამოელთა რიგები პერსონალური შენიშვნების შემდეგ დატოვეს ფიცხელაურმა და ვასიუტინსკიმ. ამათ გარდა ჩიხლაძეს, სხიერელს, ქორქიასა და მაღალაშვილს 4-4 პერსონალური შენიშვნა ჰქონდათ. არმიელებსაც მატჩის მსვლელობაში ორჯერ მოაკლდათ მოთამაშე (კულკოვი, კოვალენკო). 4 პერსონალური შენიშვნა ჰქონდა მხოლოდ კაპრანოვს. საჯარიმო სროლების სიზუსტეში ცსკა-მ ერთიორად აჯობა მეტოქეს.

### რამდენიმე შენიშვნა

როგორც უკვე ვთქვით, ამ მატჩში გადამწყვეტი როლი ითამაშა მეორე ნახევრის 9 წუთმა. მანამდე სსრ კავშირის ჩემპიონის მდგომარეობა არასახარბიელო იყო. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ცსკა ასეთი დაბნეული, წონასწორობიდან გამოსული და, თუ გნებავთ, უსუსური კარგა ხანია არ გვინახავს. ეს ითქმის როგორც მთლიანად გუნდზე, ისე მის ცალკეულ წევრებზე. დინამოელთათვის ყველაზე კარგი გამოსავალი იყო ტაიმის შეუსვენებლად გაგრძელება, მაგრამ ასეთი რამ კალათბურთში არ ხდება. ტაიმებს შორის დამყარებულმა ზავმა არმიელებს გონს მოსვლის საშუალება მისცა, მასპინძლებს კი ყოვლად გაუგებარი მიზეზით ცივი წყალი გადაასხა.

აი, სწორედ მაშინ დავუსვით ჩვენს თავს ასეთი შეკითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ ფაქტორს კალათბურთში? პასუხი ერთია — რა თქმა უნდა, აქვს, მით უმეტეს ისეთი ემოციური გუნდისთვის, როგორიც „დინამოა". ნერვებს გარკვეული ადგილი ალბათ არმიელთა ცხოვრებაშიც უკავია, მაგრამ ჩემპიონი გაცილებით იოლად ერევა თავის ხისუსტეებს, ეს კი ბევრს ნიშნავს. გაიხსენეთ თუნდაც ეს საბედისწერო მატჩი. ცსკა-ც ხომ აგებდა ბრძოლას და გამოსავალი თითქოს არ ჩანდა. გუნდი აშკარად დემორალიზებული იყო და მთლიანად მეტოქის ნება-სურვილს მიჰყვებოდა. მერე რა მოხდა?

არაფერი განსაკუთრებული. ცსკა-მ მაგრად მოთოკა ნერვები, ალღო აუღო შექმნილ ვითარებას და მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეუდგა მძიმე ამოცანის განხორციელებას. გარდატეხის ჟამი სულ მალე დადგა და ეს ჟამი „დინამოსთვის" დამღუპველი აღმოჩნდა, ვინაიდან მან პირველივე დაბრკოლებას ზურგი შეაქცია.

მაგრამ ამ მარცხის ახსნა მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორით იმას ნიშნავს, რომ მეტოქის ღირსებებს შორის არ დაინახო მთავარი: ცსკა დღესდღეობით საბჭოთა კალათბურთის ლიდერია. ცსკა-ს ჰყავს შემადგენლობა, რომელსაც წარმატებით შეუძლია გადალახოს ყველა სირთულე. გამოდის, რომ ცსკა-ს გამარჯვება კანონზომიერია, რა თქმა უნდა.

მაგალითისთვის მხოლოდ ერთი მოთამაშე — ს. ბელოვი გავიხსენოთ. განა შეიძლება რაიმე რეალური დაუპირისპირო ამ თვითმყოფად ნიჭს? ბელოვი მთელი 40 წუთის მანძილზე დინამოელთა ყურადღების მთავარი ობიექტი იყო, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ბელოვს ხან ერთი დინამოელი დასდევდა, ხან ერთბაშად ორი, ბელოვს ხელს უშლიდნენ ფარქვეშ, მის მისადგომებთან, ბელოვი თავისებურ ალყაში იყო მაშინაც, როცა ბურთს პარტნიორები ფლობდნენ. მაგრამ არმიელი მუდამ პოულობდა მომენტს შეტევისთვის, თავს აღწევდა უსიამოვნო გარემოცვას და წარმოუდგენელი ოსტატობით ბომბავდა კალათს.

ბელოვის როლი დიდია ამ წარმატებაში, მაგრამ იგი თითქმის თავისუფალი იყო სხვა ფუნქციებისგან. დაცვაზე უფრო სხვები ფიქრობდნენ, „შავ სამუშაოს" მისი დაუზარელი პარტნიორები ასრულებდნენ, განთავისუფლებული ბელოვი კი მხოლოდ კალათზე იყო გაპიროვნებული. როცა ზურგს უკან ანდრეევი და ჟარმუხამედოვი გყავს, ცხადია, თამამად ისვრი კალათში, თანაც, თუ ბელოვი ხარ.

### ბოლოსიტყვა

გუშინდელმა შედეგმა, ჩვენი აზრით, ზუსტად ასახა ძალთა შეფარდება. „დინამოსთვის" ხელსაყრელ პირობებში ანგარიში შესაძლოა სხვაც ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი დღევანდელი წერილის თემას სრულიადაც არ შეადგენს მარჩიელობა: რა მოხდებოდა, კლეოპატრას უფრო მოკლე ცხვირი რომ ჰქონოდა ან ნაპოლეონი ვატერლოოს წინ არ გაციებულიყო. არ ვიცით. ცსკამ დაჩაგრა „დინამო" საკალათბურთო ხელოვნების ბევრ პუნქტში, ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ფაქტის ხარწმუნოობას ვადასტურებთ.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ დღეს თბილისის „დინამოსი" არ იყოს, მოწოდების სიმაღლეზე არც არბიტრები იდგნენ. ეს მხოლოდ ჩემი აზრი რომ იყოს, აქ არც მოვიყვანდი. შეხვედრის შემდეგ ბევრ სპეციალისტს ვესაუბრე — ადგილობრივსაც, სტუმარსაც, და ყველამ ერთხმად აღნიშნა: მსაჯობის დონე აშკარად არ შეეფარდებოდა მატჩის ხასიათს.

ნ. გუგუშვილი.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 17 | 1 | 1525—1252 | 17 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 18 | 17 | 1 | 1268—1119 | 17 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 17 | 8 | 9 | 1213—1169 | 8 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 8 | 10 | 1371—1428 | 8 |
| „კალევი" (ტარტუ) | 17 | 8 | 9 | 1217—1261 | 8 |
| ასკ (კიევი) | 18 | 8 | 10 | 1198—1309 | 8 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 10 | 1282—1267 | 7 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 18 | 4 | 14 | 1233—1429 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 17 | 4 | 13 | 1168—1249 | 4 |

## თბილისის „დინამოს" დუბლიორები — პირველ ადგილზე

მეორე წელია, რაც თბილისის „დინამოს" დუბლიორები წარმატებით გამოდიან საკავშირო ასპარეზობაში. მათ განსაკუთრებით წლეულს გამოიჩინეს თავი. დინამოელებმა პირველი და მეორე წრეების თვრამეტივე შეხვედრა მოიგეს და რამდენიმე ქულით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეებს.

აი, როგორია დინამოელთა სავიზიტო ბარათი წლევანდელ ჩემპიონატში: ცსკა-სთან — 87:77 და 67:64, ლენინგრადის „სპარტაკთან" — 70:69 და 86:69, კიევის „სტროიტელთან" — 75:69 და 77:61, მოსკოვის „დინამოსთან" — 64:57 და 63:55, ტარტუს „კალევთან" — 78:64 და 80:64, კაუნასის „ჟალგირისთან" — 67:60 და 88:65, კიევის ასკ-სთან — 84:79 და 93:81, თბილისის „ბურევესტნიკთან" — 97:76 და 107:68, ვილნიუსის „სტატიბასთან" — 77:75 და 68:61.

დუბლიორთა საკავშირო ჩემპიონატი უკვე დამთავრდა, მაგრამ გუნდი კვლავ განაგრძობს წვრთნას და ახალი სტარტებისთვის მზადებას.

## SOS!

რედაქციაში შემოვიდა ოთხი წერილი — ოთხივეს შინაარსი თითქმის ერთნაირია. ავტორები ჩივიან, რომ ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის, ქიათურის რაიონის სოფელ დიდი კაცხის, წითელი წყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს და საჩხერის რაიონის სოფელ გორისის ახალგაზრდებს სპორტული ბაზები არა აქვთ. უფრო მეტიც, სოფელ გორისაში ჰქონიათ ფეხბურთის მინდორი, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელების დასტურით აქ გარაჟი და ლორების სადგომი მოუწყვიათ, ტერიტორიის ნაწილი კი საკარმიდამო ნაკვეთად გაუციათ.

წერილების ავტორები სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ და რედაქციისგან დახმარებას ითხოვენ. საინტერესოა, რას იტყვიან ამის თაობაზე დასახელებული სოფლების თავკაცები? რედაქცია მათგან პასუხს ელის და იმედი აქვს, რომ აღნიშნულ სოფლებში ახალგაზრდებს სპორტული ბაზებისთვის საჭირო ადგილებს გამოუყოფენ.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ საკუთარი გარჯით უნდა მოაწყონ ბაზები. ბუნებრივია ისიც, რომ ენთუზიასტებს გარკვეული დახმარება უნდა გაეწიოთ სპორტული ინვენტარისა თუ სამშენებლო მასალის შეძენის მხრივ.

## მომავალი სტარტებისთვის ემზადება

თამაზ ქარჩავამ სერიოზულად შარშან გამოსცადა თავი ველოსპორტში. იგი დაუშვეს შეჯიბრებაში, რომელიც ცხაკაიას რაიონული სპარტაკიადის პროგრამით ტარდებოდა. დებიუტანტმა I ადგილი დაიკავა. წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდა სპორტსმენს და მანაც საგულდაგულოდ დაიწყო წვრთნა საყვარელ სპორტში. მეცადინეობას ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. სიჭინავა.

სულ ცოტა ხნის შემდეგ ქარჩავამ მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკურ პირველობაში, რომელიც ლაითურში გაიმართა. ცხაკაიელ სპორტსმენს II საპრიზო ადგილი ხვდა წილად. აი, სწორედ მაშინ მიიპყრო ქარჩავამ სპეციალისტთა ყურადღება და იუნიორთა რესპუბლიკურ ნაკრებში ჩაირიცხა.

თამაზ ქარჩავა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის IV კურსზე სწავლობს. იგი მონდომებით ვარჯიშობს და მომავალი სტარტებისთვის ემზადება.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

• • •

სურათზე: თ. ქარჩავა.
შ. ხარებავას ფოტო.



## [illegible]-72

● ლენინგრადი, 13 მარტი. ქალაქის ზამთრის ჩემპიონატში მოასპარეზე ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. სკოლობანოვამ 139 ქულით გადააჭარბა დარბაზებისთვის საკავშირო რეკორდს ხუთჭიდში. მან 4800 ქულა დააგროვა (100 მეტრზე თარჯრბენი — 14,1 წამი; ბირთვის კვრა — 13,92 მ; სიმაღლეზე ხტომა — 162 სმ; სიგრძეზე ხტომა — 596 სმ; 200 მეტრზე რბენა — 26,0 წამი). იმ საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევების ცხრილში ტრუდელმა ტ. კონდრაშოვამაც შეიტანა შესწორება — — 4737 ქულა.

● ტურინი, 13 მარტი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მინსკელმა მოფარიკავე ე. ბელოვა-ნოვიკოვამ „მარტინის თასი" მოიგო. ფინალში მან ოთხჯერ გაიმარჯვა. II ადგილი დაიკავა ასევე საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ნიკონოვამ, ხოლო III — ი. დიულაი დრიმბამ (რუმინეთი). ამ საპატიო პრიზს ევროპის 21 ქვეყნის 210 რაპირისტი ეცილებოდა ერთმანეთს.

● პარიზი, 13 მარტი. რაპირისტ ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — ა. რომელის პრიზის გათამაშებაში მსოფლიო ჩემპიონმა ვ. სტანკოვიჩმა (ლვოვი) II ადგილი დაიკავა. ფინალში მან სამი ორთაბრძოლა მოიგო. პრიზს ფრანგი დ. რევენიუ დაეპატრონა (4 გამარჯვება). ფინალის მონაწილე სხვა საბჭოთა მოფარიკავეები ა. ლიტოვი და ა. იგნატოვი შესაბამისად V და VI ადგილებზე გავიდნენ.

● სტოკჰოლმი, 13 მარტი. გდრ-ის ტანმოვარჯიშე ქალებმა თავიანთი ლიდერის კ. იანცის გარეშეც იოლად სძლიეს შვეციის ნაკრებს — 373,90:340,75. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ე. ცუჰოლდი — 76,45 ქულა. მასპინძელთაგან საუკეთესომ — მ. ლუნდკვისტმა მხოლოდ VII ადგილი დაიკავა — 70,80.

● შჩირბსკე-პლესო, 13 მარტი. „ტატრანის თასზე" სათხილამურო მრავალჭიდში საერთაშორისო შეჯიბრების პროგრამით 15-კილომეტრიანი რბოლა ნოვოსიბირსკელმა ვ. დოლგანოვმა მოიგო — 44.14,18. III და IV ადგილებზე არიან მოსკოველები ა. აკენტიევი (45.02,50) და ვ. ტარაკანოვი (45.09,75). 10 კილომეტრზე ქალთა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ე. შიკოლოვამ (ჩეხოსლოვაკია) — 35.18,41. II ადგილზეა თ. ვიატკინა (36.00,01), ხოლო IV — გ. ელისტრატოვა (ორივე — სსრ კავშირი) — 36.25,62.

● ოსლო, 13 მარტი. ჰოლმენკოლენის ტრამპლინზე „მფრინავ მოთხილამურეთა" ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა 24 წლის ნორვეგიელმა ი. მორკმა — 285,4 ქულა (ნახტომები — 88 და 87,5 მ). საპოროს „თეთრი თამაშების" ჩემპიონი 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, იაპონელი ი. კასაია მხოლოდ მეოთხე იყო — 227,6 (84 და 87).

● უოლნათი, 13 მარტი. კალიფორნიის ამ ქალაქში წლეულს ღია ცის ქვეშ პირველად მოასპარეზე ამერიკელმა ათლეტმა ო. ფოიერბახმა 21,35 მეტრზე კვრა ბირთვი. ეს მეორე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში და საუკეთესო — წლეულს მსოფლიოში.

● დეტროიტი, 13 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებამ, განსაკუთრებით, სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენის პ. მაცდორფის გამოსვლამ. მაცდორფმა 220 სმ გადალახა. მაგრამ ცდების მიხედვით პირველობა 18 წლის კ. დანს დაუთმო.

● ტოკიო, 13 მარტი. იაპონელ ჭოკით მხტომელებთან შეჯიბრებაში დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევის მფლობელმა ჩ. ისაქსონმა (შვეცია) 530 სმ სიმაღლე დაძლია. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო კ. ნივა — 515 სმ.

● სიდნეი, 13 მარტი. ავსტრალიის ოლიმპიურმა იმედმა, მეტად ნიჭიერმა მძლეოსანმა ქალმა რ. ბოილმა 200 მ 23,2 წამში გაირბინა.

● ვენესუელა, 13 მარტი. „ვარსკვლავის" კლასში მსოფლიო ჩემპიონი გახდა დასავლეთგერმანელი აფროსანი ვ. კუჰაიდე. მან 306 ქულა დააგროვა ბევრ მეტოქესთან ბრძოლაში, რომელთა შორის იყვნენ ჩვეულებრივად ცნობილი აფროსნები ბრუდერი (ბრაზილია), პეტერსონი, ვენერსტრემი, ალბრეხტსონი (ყველა — შვეცია) და ნოულსი (ბაჰამის კუნძულები). საბჭოთა სპორტსმენები ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ.

ჭადრაკი ჭადრაკი ჭადრაკი

# ფინიშთან

მოსკოვი, 14 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საჭადრაკო ოლიმპიადის გუშინ გამართულ ბოლო ტურში საქართველოს წარმომადგენლები მოსკოველებს შეხვდნენ. ე. გუფელდმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან პარტია გადადო მწვავე პოზიციაში, სადაც მოსკოველს ზედმეტი პაიკი აქვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა ფიგურის შეწირვით დაამარცხა რ. ჯინჯიხაშვილი. ე. უბილავა — ე. ვასიუკოვის პარტია გადადებულია მოსკოველის უპირატესობით, ს. ჩეჩელიანისა და ი. ბალაშოვის შეხვედრა კი თანაბარ პოზიციაში. ზ. მიქაძემ წააგო ა. სუეტინთან. დ. გედევანიშვილი — ს. მაკარიჩევის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ვ. ვეფხიშვილისა და ვ. ფიოდოროვის პარტია გადადებულია (მოსკოველს ზედმეტი პაიკი აქვს). გ. ზაიჩიკმა წააგო ა. გორჩაკოვთან. ც. კობაიძის შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ა. კუშნირთან ქართველი მოჭადრაკის წაგებით დამთავრდა. თ. ხუგაშვილმა წააგო ტ. ლემაჩკოსთან. თ. კაჭარავა დაუხავდა თ. ოსტროვსკაიას. მ. წერეთელმა წააგო გ. კიმთან. ამრიგად, ანგარიშია 7:1 მოსკოველთა სასარგებლოდ (4 პარტია გადადებულია).

რსფსრ — უკრაინის მატჩის ანგარიშია 2,5:4,5 (5 პარტია გადადებულია). ლენინგრადელებმა სძლიეს ლატვიის წარმომადგენლებს — 6,5:4,5 (1). რსფსრ — უკრაინის გუნდების შეხვედრაში აღსანიშნავია ლ. პოლუგაევსკის გამარჯვება სსრ კავშირის ჩემპიონთან, ხარკოველ ვ. სავონთან.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო საღამოს ტურნირის საზეიმო დახურვაა.

მთავარ ფინალში მონაწილე გუნდების მდგომარეობა ასეთია: მოსკოვი — 34,5 ქულა (4 გადადებული პარტია), უკრაინა — 31,5 (5), რსფსრ — 31 (5), ლენინგრადი — 29 (1), საქართველო — 23 (4), ლატვია — 21 (1).

• • •

მეორე ფინალში მოთამაშე ნაკრები გუნდების ქულათა ჯამი: ბელორუსია — 32 (3), ესტონეთი — 31,5 (5), აზერბაიჯანი — 29,5 (5), სომხეთი — 29 (3), უზბეკეთი — 24 (5), ყაზახეთი — 21 (5). მესამე ფინალი: ლიტვა — 26,5 (7), მოლდავეთი — 25,5, თურქმენეთი — 21 (2), ყირგიზეთი—20 (7), ტაჯიკეთი — 18 (2).

# საუბარი შინდისფერ „ქიგულიში"



ეს იყო შარშან მოსკოვში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობის დღეებში. ჩემმა პატარა ნინომ გაზეთი „პიონერსკაია პრავდა" მომირბენინა და მხიარულად მკითხა: წაიკითხეო? როგორც კი გაზეთი გავშალე, ჩვენი სასიქადულო მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სურათი მომხვდა თვალში. მისი პატარა ინტერვიუც იყო დასტამბული (ზურაბი დელეგატი გახლდათ).

„კვლავ პიონერი რომ გავხდებოდე? — ვკითხულობ ზურაბის ნათქვამს, — მყისვე გავვარდებოდი რუსთველის პროსპექტზე, პიონერთა სასახლისკენ, და წრეში ჩავეწერებოდი. რომელში? ჭადრაკის წრეში. დიახ, ოდესღაც ძალიან კარგად ვთამაშობდი. შესაძლოა, ცნობილი მოჭადრაკეც გავმხდარიყავი. მაშინ ხომ ორი პროფესია მექნებოდა — მომღერლისა და მოჭადრაკისა".

ზურაბის სიტყვებმა ბევრი რამ გამახსენა...

ცნობილი ქართველი მომღერალი ახლოს მოსკოვში გავიცანი. ეს იყო 1962 წელს, ე. ბიკოვა — ნ. გაფრინდაშვილის მატჩის დღეებში. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ზურაბი, ცხადია, ნონას ქომაგობდა. მას ხშირად დავით გამრეკელიც ახლდა.

ერთხელ ზურაბმა გვითხრა:

— ეს რას ჰგავს: ბიკოვა იმავე დღეს არ ნებდება. ბრძოლას გადადებს, დილით კი ტელეფონით თმობს პარტიას. ამის გამო ნონას „ვალი" ვერ გამისტუმრებია.

გაკვირვება რომ შეგვატყო, ღიმილით აგვიხსნა:

— მატჩის წინ ნონა დიდ თეატრში იყო „ფაუსტზე" რამდენიმეჯერ ტაში დამიკრა. მე კი, მისი „პარტიის" უნაკლო შესრულებით მოხიბლული, საპაგიეროს ვერ ვუხდი.

ბიკოვა, თითქოს ეს სიტყვები მოისმინაო, ამ „საყვედურის" დღესვე დანებდა ნონას და ზურაბმაც ტაშით გული იჯერა.

მერე, როცა ამ მატჩისადმი მიძღვნილი წიგნი „გზა მწვერვალისკენ" გავუგზავნე, ზურაბი საპასუხო ბარათში მწერდა: წიგნი რომ მივიღე, ავად ვიყავი, კითხვას მიშლიდნენ, მაგრამ რას დავუჯერებდი! ღამით, ყველას რომ ეძინა, მაინც წავიკითხე ჩუმად და კვლავ განვიცადე ნონას გამარჯვებით გამოწვეული სიხარულიო.

ვიცოდი, ზურაბს ჭადრაკი რომ უყვარს, მაგრამ საგაზეთო ინტერვიუში მეტი იყო ნაგულისხმევი.

და აი, ზურაბ ანჯაფარიძის შინდისფერ „ქიგულიში" ვსხედვართ. ჩვენთან არის მისი მეგობარი, მომღერალი ვლადიმერ კანდელაკი. საჭეს თავად ზურაბი უზის. ვახსენებ „პიონერსკაია პრავდაში" დაბეჭდილ ინტერვიუს. იღიმება.

— რაც გულში მქონდა, ისა ვთქვი. პიონერი არასოდეს ტყუის!

ტკბილად ვსაუბრობდით. მოსკოვი რომ გავიხსენეთ, ზურაბმა სიცილით გვიამბო:

— ნონას მატჩის დროს მე და დავით გამრეკელს ძლიერი მოჭადრაკეების სახელი გაგვივარდა. პარტიაში კრიტიკული მომენტი რომ შეიქმნებოდა და ყველა ღელავდა, ნონას მწვრთნელს მიხეილ შიშოვს მივაკითხავდი. ის ხონას ძლიერ სვლაზე მიმანიშნებდა. მე დავითსაც გავანდობდი საიდუმლოს. მერე ორივე ხალხში გავერეოდით. ჩვენი სვლები ნონას სვლებს რომ დაემთხვეოდა, ნაცნობ-მეგობრები გვილოცავდნენ, გვიწონებდნენ, მერე პროგნოზებსაც კი გვთხოვდნენ!

ჭადრაკის თამაში ზურაბმა, შეიძლება ითქვას, შემთხვევით ისწავლა. თავიდან იგი პიონერთა სასახლის კრივის სექციაში ჩაეწერა...

ჭადრაკმა სწრაფად მოინადირა გონებაგახსნილი ყმაწვილის გული. არც იყო გასაკვირი: ზურაბს მასწავლებლად ოსტატი არჩილ ებრალიძე დაუხვდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში (1942-1944 წლები) არჩილი ჭადრაკის სიბრძნეს ასწავლიდა ტიგრან პეტროსიანსაც. ალბათ ზურაბი და ტიგრანი ბევრჯერ შეხვედრიან კიდეც ერთმანეთს, მაგრამ რა იცოდნენ, ერთი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდებოდა, მეორე კი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

— არჩილ ებრალიძე უაღრესად თავისებური პედაგოგი იყო, — ამბობს ზურაბი. — მართალია, თეორიას გვასწავლიდა, დიდოსტატთა პარტიებს გვიჩვენებდა, ლამაზ კომბინაციებს გვაძლევდა ამოსახსნელად, მაგრამ ყველაზე მეტად ჭადრაკის სიბრძნის, მისი ისტორიის შესახებ გვესაუბრებოდა. ცდილობდა დიდი სიყვარულით შეგვყვარებოდა ეს თამაში და მიაღწია კიდეც მიზანს.

კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ზურაბი ხშირად თამაშობდა სასწავლებლის პირველობებში, ამხანაგურ მატჩებში, მაგალითად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან. მოსკოვში, დიდ თეატრში მუშაობის დროს, მსოფლიო პირველობის თითქმის არც ერთი მატჩი არ გაუცდენია.

— ჩვენში ჭადრაკს უდიდესი პოპულარობა ნონა გაფრინდაშვილის ზღაპრულმა წარმატებებმა მოუხვეჭა, — გვეუბნება ზურაბი. — სწორედ ნონამ კიდევ უფრო შეაყვარა ბრძოლთა ეს თამაში.

სასიქადულო მომღერალმა გაიხსენა ნონასთან შეხვედრა ამ ორიოდე წლის წინათ იუგოსლავიაში, სადაც თავად საგასტროლოდ იყო მიწვეული.

— სადილად დაგვპატიჟა ბელგრადში მცხოვრებმა ქართველმა ინჟინერმა გიორგი გოთუამ, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა. მასპინძლის ოჯახი სტუმართმოყვრულად, ქართული გულუხვობით შეგვხვდა. ნონა სათამაშოდ უნდა წასულიყო და რამდენიმე საათის შემდეგ დაგვტოვა. მოვიხიბლე მისი თავმდაბლობით, დარბაისლობით. ჭეშმარიტად საამაყო ქალია!

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც ახლა მოღვაწეობს ზურაბ ანჯაფარიძე, ჭადრაკს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. თვით თეატრის დირექტორი დიმიტრი მჭედლიძე მინახავს მონაწილედ ჭადრაკის დედოფლის ერთდროული თამაშის სეანსში.

— თეატრში არიან კარგი მოჭადრაკეები, — ამბობს ზურაბი. — შეიძლება გუნდიც შეიქმნას. დავასახელებ თუნდაც ირაკლი შუშანიას, ზურაბ სოტკილავას, შოთა კიკნაძეს, ამირან გაგუას, გოგი ხეცურიანს და სხვებს, რომლებთანაც ხშირად ვთამაშობ. ჭადრაკი სულს გვათქმევინებს, გვასვენებს, გვახალისებს. მართალია, ზოგჯერ გულსაც გვტკენს (წაგება ვის უხარია?), მაგრამ, სამაგიეროდ, ახოვრებას გვილამაზებს, კარგ ადამიანებთან გვაახლოებს... ამიტომ არ მიკვირს, რომ ჩვენი მამა-პაპა დიდი პატივით ეპყრობოდა ჭადრაკს და არც ის, ჩვენმა ახალგაზრდობამ რომ შეიყვარა ეს თამაში.

სიტყვა სპასკი — ფიშერის მომავალ მატჩზე ჩამოვარდა.

— ჩემი აზრით, ფიშერი გაიმარჯვებს, — ამბობს ზურაბი. — იგი აღმავალ გზას ადგას. შესაძლოა ვცდები. თქვენ, სპეციალისტებმა, უკეთ იცით, მაგრამ პეტროსიანთან მოგება, რომ არაფერი ვთქვათ ტაიმანოვთან და ლარსენთან „მშრალი" ანგარიშით გამარჯვებებზე, ფიშერის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

როცა გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩის პროგნოზი ვკითხე, ზურაბს, გაეღიმა: თამაში ძნელი იქნება, მაგრამ შედეგი რა საკითხავიაო.

საუბრის დასასრულს კვლავ „პიონერსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული ინტერვიუს იმ ადგილს დავუბრუნდი, სადაც ზურაბი ორ პროფესიაზე ლაპარაკობს.

— იქნებ მართლა ცნობილი მოჭადრაკე გამოვსულიყავი. რა იცი, — იცინის ზურაბი. — თუმცა ახლაც ხომ ორი პროფესია მაქვს: მომღერლისა და ჭადრაკის გულშემატკივრისა!

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: ზ. ანჯაფარიძე (მარჯვნივ) ანტრაქტის დროს ჭადრაკს ეთამაშება საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შ. კიკნაძეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ჭადრაკი შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ლიტერატურაში

ჭადრაკის თამაში შუა საუკუნეებში ძალიან დაფასებული და გავრცელებული იყო. იგი მიეკუთვნებოდა იმ შვიდ ხელოვნებას, რომელთა ფლობა ყოველ რაინდს მოეთხოვებოდა (ჭადრაკის თამაშის გარდა ეს იყო: ცხენოსნობა, ცურვა, ბურთის თამაში, ისრის სროლა, ნადირობა და მელექსეობა). ჭადრაკი შუა საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში ძალიან ხშირადაა აღწერილი ან ნახსენები.

გრაფი ფერანდ ფლანდრიელი საკუთარ მეუღლეს ეთამაშებოდა ჭადრაკს. ცოლმა შამათი გაუკეთა მრისხანე ქმარს. გრაფი ისე გაბრაზდა, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის მეორე ნახევარს, რაც ფილიპ ავგუსტ ფლანდრიელთან ომის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

1265 წელს ფლორენციაში ჩასულა სარკინოზი ბორცოგა და დიდებულთა თვალწინ ქალაქის სამ საუკეთესო მოჭადრაკესთან ერთდროულად დაუწყია თამაში. ერთს პირდაპირ დაფასთან ეთამაშებოდა, ორ დანარჩენს კი „ბრმად" („თვალხუჭულა"). ორი მოჭადრაკე ამ სარკინოზს დაუმარცხებია, ხოლო მესამესთან ყაიმი გაუკეთებია.

გადმოცემით ვიცით, იმპერატორ კონსტანტინეს დროს მოჭადრაკეებს თამაშის დროს ჩხუბი რომ მოუვიდოდათ, ჭადრაკის ფიგურებით დაერეოდნენ ერთმანეთს, რომელთაც კეტებივით ხმარობდნენ (როგორც ჩანს, იმ დროს ჭადრაკის დაფა და ფიგურები ძალიან დიდი იყო).

ადრიანი შუა საუკუნეების უდიდეს გერმანულ ლიტერატურულ ძეგლში, ვოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო რომანში „პარციფალი" ასეთი ამბავია მოთხრობილი: რაინდი გავანი ასკალონის მეფის ბერგულახტის სასახლეში მოხვდება. იქ იგი გაიცნობს მეფის დას, მშვენიერ ანტიკონიის. მათ ერთმანეთი მოეწონებათ და ამ მოწონებას ვერ ფარავენ, მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვარდება უცნობი ქალარა რაინდი, რომელიც ხალხს შეუყრის გავანს, ანტიკონიის გაუპატიურებას ცდილობდაო.

გავანი ანტიკონიისთან ერთად გარბის და თავს ერთ კოშკს აფარებს, კარის ურდულს იარაღად იყენებს, ხოლო ჭადრაკის დაფას — ფარად. ანტიკონიი კი ჭადრაკის ფიგურებს ესვრის მოიერიშეთ და აბჯრიან და მუზარადიან მებრძოლებს ძირს ანარცხებს.

შუა საუკუნეების ლიტერატურაში უფრო ხშირია ხსენება ჭადრაკისა, ვიდრე თანამედროვე მწერლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უშუალოდ მოჭადრაკეებზე დაწერილ ნაწარმოებებს (შ. ცვაიგის „საჭადრაკო ნოველა", ქ. აქსიონოვის „ორთაბრძოლა" და სხვ.).

გ. შანდორელი.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მიულერი არ ხუმრობს

გ. მიულერმა, რომელიც 1970 წელს „ოქროს ბუცის" ლაურეატი იყო, ეტყობა, გადაწყვიტა ეს წოდება ერთხელ კიდევ მოიპოვოს. მისი გუნდი — მიუნხენის „ბაიერნი" ახლა გფრ-ის ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, თვით სნაიპერს კი ყოველ მატჩში გააქვს გოლი.

და აი, ესენის „როტ-ვაისთან" ამასწინანდელ შეხვედრაში მიულერმა ერთბაშად მკვეთრად გააუმჯობესა თავისი მაჩვენებელი: „ბაიერნმა" მეტოქის კარში 7 „მშრალი" ბურთი გაიტანა, რომელთაგან ხუთის ავტორი მიულერი იყო.

## მოკლედ

● **გრანადა.** წარსულში კარგად ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი ნ. როსი დანიშნულია ესპანეთის I ლიგის კლუბ „გრანადას" მთავარ მწვრთნელად.

● **ლისაბონი.** პორტუგალიის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი გომეს და სილვა გადადგა. მის მოვალეობას სეზონის ბოლომდე შეასრულებს „ბენფიკის" მწვრთნელის მოადგილე, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჟ. აუგუსტო.

● **ლიმა.** აქ გამოცხადდა, რომ პერუს ეროვნული ნაკრები ლ. ბაროტის ხელმძღვანელობით აპრილში დიდ გასტროლებს იწყებს. სამხრეთამერიკელები ითამაშებენ მაროკოში, სსრ კავშირში, იუგოსლავიაში, შოტლანდიასა და ირანში.

● **დუბლინი.** ორი ადგილობრივი კლუბის — „დრუმკონდრასა" და „ბოჰემიანსის" ფეხბურთელებისგან შემდგარი გუნდი შეხვდა ბრაზილიის „სანტოსს". თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე წინ იყვნენ მასპინძლები (2:1), მაგრამ ალინდომ შეძლო ზედიზედ ორი ბურთის გატანა და „სანტოსმა" გაიმარჯვა — 3:2.

## შიონის აზრით

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ჰ. შიონი ამას წინათ პერუში იყო მწვრთნელთა საერთაშორისო კურსებზე ლექციების წასაკითხად. აქ ყურადღება მიიქცია მისმა შემდეგმა განცხადებამ:

— მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ფინალში გუნდები ბევრ ტაქტიკურ სიახლეს გამოიყენებენ. ეს სიახლეები შეტევის წარმოების სფეროს შეეხება და მაყურებელს აშკარა სიამოვნებას მოჰგვრის.

შიონის გარდა, ახლა ბევრ სხვა ცნობილ სპეციალისტსაც მიაჩნია, რომ ფეხბურთი უახლოეს წლებში უფრო შეტევითი და საინტერესო გახდება.

რედაქტორი შ. ბაკაბაძე.

თბილისის სპორტული აფიშა

სასტენდო სროლა. ვარკეთილის სასროლეთი. 17-19 მარტი. საქართველოს თასის გათამაშება. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14 უე 02575